



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

16 იანვარი 2024



N 15/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. რუსთავში, მშენებელთა ქუჩა №70-ში მდებარე შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. რუსთავში, მშენებელთა ქუჩა №70-ში მდებარე ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2009 წლის 29 სექტემბერს ქ. რუსთავში, მშენებელთა ქუჩა №70-ში შპს „საქცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე გაცემულია №109 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (№ი-03). ვინაიდან, შპს „საქცემენტმა“ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და გახდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“, 2012 წლის 9 ოქტომბერს სანებართვო მოწმობა გაიცა „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიაზე“. 2018 წლის 15 აგვისტოს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და №109 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-674). აქვე აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 2 აპრილს ქ. რუსთავში, მშენებელთა ქუჩა №70-ში შპს „ქართული ცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე გაცემულია №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (№ი-85). ვინაიდან, რეორგანიზაციის პროცესში შპს „ქართული ცემენტი“ შეერწყა შპს „ჰაიდელბერგცემენტ კავკასუსს“, ხოლო შპს „ჰაიდელბერგცემენტ კავკასუსი“ შეერწყა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ და რეგისტრირებული სუბიექტი გახდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“, 2018 წლის 12 ივლისის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-554). 2021 წლის 30 დეკემბერს, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები გაერთიანდა, ძალადაკარგულად გამოცხადდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ №2-674 და №2-554 ბრძანებები და ძალაში დარჩა №109 და №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები (ბრძანება №2-1712). ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 26 თებერვალს, 2021 წლის 22 აპრილს და 2021 წლის პირველ სექტემბერს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილებები (ბრძანება №2-180; №2-489 და №2-1308), რომელთა თანახმად, აღნიშნული ცვლილებები არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2023 წლის 3 ოქტომბერს სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კუთვნილი საწარმოს ინსპექტირება, რა დროსაც დადგინდა, რომ

კომპანიის მიერ ობიექტზე განხორციელდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილება სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე 2023 წლის 14 ოქტომბერს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №084111 ოქმი და ადმინისტრაციული წარმოების მასალები განსახილველად გაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ცემენტის საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავში, მშენებელთა ქუჩა №70-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ ჯამურად 406 497 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 02.07.02.035 და 02.07.02.599). საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 130 მეტრით, ხოლო უშუალოდ საწარმოო დანადგარებიდან – 325 მეტრით. ობიექტის მომიჯნავედ მდებარეობს შპს „რუსელოისის“, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ და შპს „ჯეოფერომეტალის“ მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) საწარმოები. ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 50 მეტრში განთავსებულია შპს „მეგა ცემენტის“ ცემენტის, ხოლო 170 და 330 მეტრში – სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ და შპს „რუსთავის ფოლადის“ მეტალურგიული საწარმოები.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, არსებული მდგომარეობით, საწარმო წლის განმავლობაში აწარმოებს 540 000 ტონა ცემენტს და 400 000 ტონა კლინკერს. ცემენტის საწარმო ხაზი მუშაობს წელიწადში 360 დღე, 24-საათიანი სამუშაო რეჟიმით, ხოლო კლინკერის საწარმო ხაზი – 365 დღე, 24-საათიანი სამუშაო რეჟიმით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, საწარმოში განხორციელდა წლიურად წარმოებული ცემენტის 540 000 ტონიდან 700 000 ტონამდე, ხოლო კლინკერის 400 000 ტონიდან 440 000 ტონამდე გაზრდა, ასევე, კლინკერის წარმოების ტექნოლოგიურ ციკლში ტუფის მიწოდების ხაზის დამატება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ობიექტზე წარმოებული ცემენტის წლიური რაოდენობა გაიზარდა არსებული წისქვილების სამუშაო საათების გაზრდის ხარჯზე (7 920 სთ/წელ), ხოლო წარმოებული კლინკერის წლიური რაოდენობა გაიზარდა ტექნოლოგიურ ციკლში ცეოლითის შემცველი ტუფის დამატების ხარჯზე. კერძოდ, ტუფის მიწოდების ხაზში არსებულ ცეცხლრიკა მაცივარზე ხდება ცეოლითის შემცველი ტუფის სითბური აქტივაცია (ცხელი კლინკერის ნარჩენი სითბოს გამოყენება) და კარბონატების ნაწილობრივი კალცინირება, რის შემდგომაც ცეოლითის შემცველი ტუფი ერევა მბრუნავი ღუმელიდან გამოსულ ცხელ კლინკერს. ყოველ 1 ტონა კლინკერზე გათვალისწინებულია 128,4 კგ ცეოლითის შემცველი ტუფის დამატება, რაც წლიურად 400 000 ტონა კლინკერისთვის ჯამურად შეადგენს 51 360 ტონას. კლინკერზე ცეოლითის შემცველი ტუფის დამატების პროცესში კალცინირებისა და წყლის დაკარგვის გათვალისწინებით მიიღება წელიწადში 440 000 ტონა კლინკერი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური და საწარმოო (კლინკერის წარმოები პროცესი) მიზნებისთვის. სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალი საწარმოს მიეწოდება ქ. რუსთავის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო ტექნიკური და საწარმოო დანიშნულებით წყალაღება ხდება ობიექტის მიმდებარედ არსებული მიწისზედა მაგისტრალური „მარიინის“ არხიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ჩართულია ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაში, ხოლო საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს. დოკუმენტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება დაკავშირებული არ არის საწარმოში მოხმარებული წყლის რაოდენობის ზრდასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი აქვს მავნე ნივთიერების, კერძოდ, არაორგანული მტვრის, შეწონილი ნაწილაკების, ნახშირბადის ოქსიდის, გოგირდის დიოქსიდის, სელენის, დარიშხანის, აზოტის ოქსიდის, აზოტის დიოქსიდის, თუთიის, ქრომის, ტყვიის, ვერცხლისწყლის, ნიკელის, სპილენძის და კადმიუმის გამოყოფას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე, აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული გაფრქვევის ახალი წყაროები (ტუფის დასაწყობების და მიწოდების უბნები) უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია დაახლოებით 815 მეტრით. ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას, გაბნევის ანგარიშში ფონურ მაჩვენებლად ასევე გათვალისწინებულია მიმდებარედ არსებული ობიექტების გაფრქვევები. მიღებული შედეგების თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია, უახლოეს მოსახლესთან, არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროებია ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. დოკუმენტში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ხმაურის ინსტრუმენტული გაზომვის შედეგები, სადაც, ასევე ასახულია მიმდებარედ არსებული საწარმოების ხმაურის ფონური მაჩვენებლები. გაანგარიშების შედეგების თანახმად, უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 28,6 დბა-ს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით განხორციელებული ღონისძიებები არ არის დაკავშირებული საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის ზრდასთან.

სკრინინგის განცხადებაში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება განხილულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელების კუთხით. როგორც უკვე აღინიშნა, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას, გაბნევის ანგარიშში ფონურ მაჩვენებლად გათვალისწინებული იქნა მიმდებარედ არსებული საწარმოების გაფრქვევები, ხოლო ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას, გაანგარიშება შესრულდა საწარმოს მიმდებარედ არსებული ხმაურის ფონური წყაროების გათვალისწინებით. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, ცემენტის საწარმოსა და მიმდებარედ არსებული ობიექტების ერთობლივი ფუნქციონირება არ არის დაკავშირებული კუმულაციური ზემოქმედების რისკების ზრდასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოს სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სამეწარმოდ ათვისებულ ტერიტორიაზე, რომელიც თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების

ფარგლებში, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება დაკავშირებული არ იქნება გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან და მოსალოდნელი არ არის არსებული გარემოს ფონური მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილება.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. რუსთავში, მშენებელთა ქუჩა №70-ში მდებარე შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 30 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1712) განსაზღვრული პირობების შესაბამისად (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №109; 29.12.2009 და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №13; 02.04.2013), წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება;
4. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, უზრუნველყოს განახლებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), საწარმოს ტერიტორიაზე და უახლოეს მოსახლესთან ატმოსფერული ჰაერის, ასევე ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგი (მონიტორინგის წერტილების კოორდინატების, მონიტორინგის სიხშირისა და მონიტორინგის შედეგების სააგენტოში წარმოდგენის პერიოდის მითითებით);
5. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიასთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2021 წლის 30 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1712) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მისი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

